USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

CURATIO INTERNATIONAL FOUNDATION

30 Years for Better Health Systems

ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფის ინფლაციის დონის მაჩვენებლები - აქცენტი ფარმაცევტულ პროდუქტებზე

მომზადებულია საერთაშორისო ფონდი კურაციოს მიერ

ზოგადი ინფორმაცია

65%
შინამეურნეობების ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯის 65% მედიკამენტებზე მოდის (2018)

6%
იხარჯება მედიკამენტებზე შინამეურნეობების ბიუჯეტიდან (2018)

7% ზრდა დოლარში 7%
vs
ზრდა ლარში 41%
41%

90%
საქართველოში ფარმაცევტული პროდუქტების 90% იმპორტულია

შინამეურნეობების დაახლოებით 80% მედიკამენტებზე ხარჯავს ჯანდაცვის სრული დანახარჯის 80%-ს, მხოლოდ ყველაზე მდიდარი 20% ხარჯავს დაახლოებით 40%-ს. ამრიგად, ფარმაცევტული ხარჯები ეხება თითქმის ყველას.

მედიკამენტებზე გაწეული კატასტროფული დანახარჯი 2013-2018 წლებში 11.5%-დან 17.4%-მდე გაიზრდა. მედიკამენტ. საშუალო ზომის შინამეურნეობის მიერ გაწეული საშუალო თვიური დანახარჯი 267.9 ლარს შეადგენს

იმპორტირებული მედიკამენტების ღირებულება 41%-ით გაიზარდა ლარში / 7%-ით აშშ დოლარში 2016 – 2020 წწ. (აშშ დოლარის/ლარის გაცვლითი კურსის 31.4% ზრდა 2016-2020 წწ. სავარაუდოდ ხელს უწყობს აშშ დოლარისა და ლარის მაჩვენებლებს შორის არსებულ შეუსაბამობას

საქართველოში იმპორტს ფარმაცევტული ბაზრის დიდი ნაწილი უკავია. კერძოდ, 2022 წელს მან 483.24 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

საერთაშორისო ფონდი „კურაციო“. (2021). რა დაავადება ჭირს ქვეყნის ფარმაცევტულ სექტორს და რა შეიძლება იყოს მისი საშველი?
Goginashvili K., Nadareishvili M., & Habicht T.(2021). [Can people afford to pay for health care? New evidence on financial protection in Georgia]. World Health Organization. Regional Office for Europe. https://apps.who.int/iris/handle/10665/342814. License: CC BY-NC-SA 3.0 IGO
საქსტატი.(2023).შინამეურნეობების საშუალო თვიური დანახარჯი. https://www.geostat.ge/personalinflation/?lang=en
კონკურენციის სააგენტო. (2021). ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგი. /https://admin.competition.ge/uploads/0e920af7373747e089b6921817fb9e12.pdf
საერთაშორისო ფონდი „კურაციო“. (2019). ფარმაცევტული საშუალებების ფასწარმოქმნის პოლიტიკა საქართველოში მოსახლეობის ფარმაცევტულ პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით. https://curatiofoundation.org/wp-content/uploads/2020/02/Pharmaceutical-pricing-policies

ფარმაცევტული პოლიტიკის რეფორმა

2014-2023

ძალაში შესვლის თარიღი

ეტაპ. II: თებ.
ეტაპი II: მარტ.
ეტაპი II: მაისი
ეტაპი III: აგვ.
ეტაპი IV: ნოემ.
ეტაპი V: დეკ.

2014

რეცეპტის მოთხოვნა

დაწესდა რეცეპტთან დაკავშირებული მოთხოვნები **მედიკამენტების 2 ჯგუფისთვის**, ფარმაცევტული პროდუქტების უფრო რაციონალური გამოყენების მხარდაჭერის მიზნით.

2016

ელექტრონული რეცეპტი

საქართველოს მთავრობის მიერ დაინერგა **არასავალდებულო** ელექტრონული რეცეპტების სისტემა **მცირე მასშტაბით თბილისში.**

2017

სუბსიდირებული მედიკამენტები

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამას, რომლის ფარგლებში, **ოთხი ყელაზე გავრცელებული ქრონიკული დაავადების** მქონე პაციენტებს იგი სუბსიდირებულ მედიკამენტებს სთავაზობს (ჰიპერტენზია, ფილტვის ქრონიკ.ობსტრუქც. დაავადება, შაქრიანი დიაბეტი, ტიპი 2, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები)

2019

სუბსიდირებული მედიკამენტები

პარკინსონის დაავადების და **ეპილეფსიის** სამკურნალო ამბულატორიული მედიკამენტები ხელმისაწვდომი გახდა ამ დაავადების მქონე პირებისთვის, 25% თანაგადახდის პირობით

2022

მედიკემენტების იმპორტი

საქართველომ დაუშვა მედიკამენტების პარალელური იმპორტი თურქეთიდან შემდგომი ეროვნული ავტორიზაციის გარეშე.

2023

რეფერენტული ფასწარმოქმნა

საქართველოს მთავრობამ დანერგა რეფერენტული ფასწარმოქმნის პოლიტიკა მედიკამენტებზე

რეფერენტული ფასები ნაწილობრივ დაინერგა (ა) ანტიბიოტიკებზე და (ბ) გულ-სისხლძარღვთა სამკურნალო საშუალებებზე, ასევე მე-2 ტიპის დიაბეტის, ეპილეფსიის, ონკოლოგიური, ფარისებრი ჯირკვლისა და ფილტვის დაავადებების სამკურნალო პრეპარატებზე.

ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფის ინფლაციის დონის მაჩვენებელი



- **ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფის** ფასები 3.8%-ით შემცირდა, ძირითადად სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობის ქვე-ჯგუფის ხარჯზე, რომელთა ფასები 2023 წლის დეკემბერში -8.9%-ით შემცირდა. ამავე დროს, გაიზარდა ამბულატორიული მომსახურებისა (5.8%) და საავადმყოფოს მომსახურების (5.6%) ფასები. ამ უკანასკნელში შედარებით სწრაფი ზრდა შეინიშნება 2021 წლის შემდგომ.
- სფი-ს მიხედვით (2016=100), სამედიცინო პროდუქციის ფასების ზრდის გრძელვადიანი ტენდენციის შემდეგ 2021 წლის შემდეგ ფასების მნიშვნელოვანი კლება შეინიშნება, რაც პოტენციურად, თურქეთიდან პარალელურ იმპორტს უკავშირდება.
- 2023 წლის დეკემბერში ფასები 2017 წლის ნიშნულის ქვემოთ ჩამოვიდა.

თვიური ინფლაციის დონე

2023 წლის ნოემბერში, ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფი საერთო თვიური ინფლაციის განმაპირობებელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო, სურსათის, ავეჯის, საოჯახო ნივთებისა და მოვლა-შეკეთების ჯგუფების შემდეგ. **ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფის ფასები -0.8% პროცენტით შემცირდა** ნოემბერში წინა თვესთან შედარებით

2021 წლის შემდეგ, **სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობის** ფასების კლების ტენდენცია შეინიშნება, რომლის შენარჩუნებას, დიდი ალბათობით პოლიტიკაში გატარებული რეფორმები უწყობს ხელს.

საქსტატი. (2023). სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია). https://www.geostat.ge/en/modules/categories/26/cpi-inflation

გარკვეული მედიკამენტების ინფლაციის დონის მაჩვენებელი





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი(საშუალო თვიური გაცვლითი კურსი)

- თურქეთიდან პარალელური იმპორტის და რეფერენტული ფასწარმოქმნის დაშვების შემდეგ ყველა მედიკამენტის ფასი შემცირდა.
- ნაწილობრივ ეს შეიძლება აშშ დოლართან მიმართებით ლარის კურსის 12%-იანი გამყარებით.

შენიშვნა: სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილება წინა თვესთან შედარებით
მონაცემთა წყარო: საქსტატი. (2017-2023 წწ). სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია)).
https://www.geostat.ge/en/search?query=inflation&page=12

ჯანდაცვის სამინისტრო. (2021 წ.).თურქეთიადან იმპორტირებული წამლების სია გაფართოვდა. https://www.moh.gov.ge/ka/news/6614/TurqeTidan-importirebuli-medikamentebis-sia-gafarTovda
Business media.(2022 წ.). თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტების შემენა 4 სააფთიაქო ქსელშია შესაძლებელი - ჯანდაცვის სამინისტრო. https://bm.ge/news/turqetidan-importirebuli-medikamentebis-shedzena-4-saaftiaqo-qselshia-shesadzlebeli---jandacvis-saministro/105461

გარკვეული მედიკამენტების ინფლაციის დონის მაჩვენებელი (2)





შენიშვნა: ეს არის წამლების ორი ჯგუფი რეფერენტული ფასწარმოქმნის პოლიტიკის დანერგვის 1-ლი ეტაპის ფარგლებში; მათი სამომხმარებლო ფასების ინდექსი საჯაროდ ხელმისაწვდომია.
მონაცემთა წყარო: საქსტატი. (2017-2023). სფი (ინფლაცია). https://www.geostat.ge/en/search?query=inflation&page=12

- საქართველოში რეფერენტული ფასწარმოქმნის სისტემის პირველი ეტაპი **15** თებერვალს ამოქმედდა. იგი მედიკამენტების შერჩეული კატეგორიისთვის დაინერგა, მათ შორის ანტიბიოტიკებისა და სისხლძარღვთა გამაფართოებელი მედიკამენტებისთვის. სისტემის ფარგლებში მედიკამენტების ჩამონათვალი ეტაპობრივად გაიზარდა **2023** წლის მარტიდან დეკემბრამდე.
- გარდა ამისა, რეფერენტული ფასების არმქონე მედიკამენტებთან შედარებით ანტიბიოტიკებისა და სისხლძარღვთა გამაფართოებელი მედიკამენტების (სფი) შემდგომ შემცირდა მცირედ **2023** წლის პირველ ორ კვარტალში, რაც რეფორმის პირველი ეტაპის ზემოქმედებაზე მიუთითებს.
- რეფორმამ პოტენციურად ხელი შეუწყო ფასების საერთო შემცირებას **2023**[1] წელს. თუმცა კლება უფრო საწყის თვეებში შეინიშნებოდა, რის შემდგომაც, როგორც ჩანს კლების ტემპი დასტაბილურდა.

1. *მსოფლიო ბანკი -საქართველოს ყოველთვიური ეკონომიკური მაჩვენებლები– ივნისი 2023 წ., ინფორმაცია აღებულია შემდეგი სწარიდან https://thedocs.worldbank.org/en/doc/0fdf1859b07785ebc3b6f23335122438-0080012023/original/GEO-MEU-June-2023-eng.pdf*

გარკვეული მედიკამენტების ინფლაციის დონის მაჩვენებელი (3)







თუმცა, რეფერენტული ფასწარმოქმნის სისტემის მიღმა დარჩენილი მედიკამენტების ჯგუფების ფასები პირველ ეტაპზე გაიზარდა. *ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი და საჭმლის მომნელებელი სისტემის მედიკამენტების ჯგუფისთვის* რეფერენტული ფასები მხოლოდ 2023 წლის აგვისტოში ამოქმედდა; *წლის განმავლობაში წამლების ჩამონათვალი, რომლებისთვისაც რეფერენტული ფასები დაინერგა,* ეტაპობრივად გაიზარდა, რამაც პოტენციურად ფასების ზრდის შეჩერება გამოიწვია.

შენიშვნა: : გრაფიკები ასახავენ სფი-ს მაჩვენებლის ცვლილებას წინა თვესთან შედარებით და არა *თვით ფასების პირდაპირ ცვლილებას.* ასევე მიაქციეთ ყურადღება **ΔGEL/USD გაცვლის კურსი 2022-2023 = -12%**

საქსტატი. (2017-2023 წწ.). სამომხმარებლო ფასთა ინდექსი (ინფლაცია). https://www.geostat.ge/en/search?query=inflation&page=12

მოკლე მიმოხილვა 1

- საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმპორტზე, იმპორტის მაჩვენებელმა 2023 წლის (იანვარ-ნოემბერში) US$489.6 მილიონი შეადგინა. *
- მედიკამენტების მაღალი ფასები საქართველოში ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. მართალია 2013 წლის შემდეგ განხორციელებული რეფორმების შედეგად ჯანდაცვის სერვისებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა გაუმჯობესდა, ჯიბიდან გადახდილი თანხების წილი, განსაკუთრებით ამბულატორიულ მედიკამენტებზე, კვლავ მაღალია.
- ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში (2016-2021 წწ.) სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობის ფასები იზრდებოდა (მედიკამენტების ჩათვლით), თუმცა ზრდა მკვეთრად შენელდა 2022 წლიდან, პირველად 2012 წლის შემდეგ.
- გარდა ამისა, NDI-ის საზოგადოებრივი განწყობის კვლევის მიხედვით, 2022 წლის ბოლოს, ყოველმა მესამე გამოკითხულმა საქართველოს მოქალაქემ განაცხადა, რომ წამლებზე გაცილებით ნაკლებს ხარჯავდა გასულ წელთან შედარებით, რაც ასევე ადასტურებს საქსტატის მონაცემებით მიღებულ ტენდენციას. თუმცა შინამეურნეობების შემოსავლის უდიდესი ნაწილი კვლავ მედიკამენტებზე იხარჯება.**

** Geostat. (დეკემბერი 2023). საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში 2023 წლის იანვარ-ნოემბერში. აღებულია შემდეგი წყაროდან https://www.geostat.ge/media/59231/External-Merchandise-Trade-of-Georgia-in-January-November-2023.pdf*

** * NDI, CRRC საქართველო. (თებერვალი 2023 წ.). საზოგადოებრივი აზრის კვლევა. მონაცემები აღებული შემდეგი წყაროდან https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_December%202022%20poll_public%20version_ENG_vf.pdf*

მოკლე მიმოხილვა 2

- წარმოდგენილი მონაცემები მიუთითებს, რომ სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობის ფასები 2021 წლამდე იზრდებოდა. ბოლოდროინდელი მონაცემები ახლად განხორციელებული რეფორმების (თურქეთიდან წამლის პარალელური იმპორტის დაშვების და რეფერენტული ფასწარმოქმნის დანერგვის) შესაძლო დადებით შედეგებზე მიუთითებს. თუმცა, 2023 წლის ბოლოსთვის ფასების კლების სტაბილიზაცია დამატებით მონიტორინგს საჭიროებს.
- მიღწევა აშკარად შეინიშნება, თუმცა NDI-ის 2023 წლის ოქტომბერ-ნოემბერში განხორციელებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, მოსახლეობის უმრავლესობა მედიკამენტებზე გაწეულ ხარჯების მაღალ დონეს ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი მთავარ პრობლემად მიიჩნევს.**
- შესაბამისად, იმისათვის რომ პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ქმედებების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, შედეგების მდგრადობის დონე და პაციენტების კეთილდღეობაზე მათი გრძელვადიანი გავლენა უფრო საფუძვლიანად დავადგინოთ, საჭიროა ხანგრძლივი დაკვირვება შედარებით ზუსტი მეთოდოლოგიის, ინსტრუმენტებისა და მონაცემების გამოყენებით.

NDI, CRRC საქართველო. (სექტემბერი 2022 წ.). საზოგადოებრივი აზრის კვლევა. აღებული შემდეგი წყაროდან https://www.ndi.org/sites/default/files/Poll%20Results%20%28English%29_0.pdf

*** NDI, CRRC საქართველო (დეკემბერი 2023 წ.). საზოგადოებრივი აზრის კვლევა. აღებულია შემდეგი წყაროდან https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_GGF%20poll_October_2023_Eng_VF.pdf*

მოკლე მიმოხილვა 3

მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობის ფასები 2022 წლის შემდგომ შემცირდა, როგორც შევნიშნეთ, ფასები გაიზარდა ამბულატორიული და ჰოსპიტალური მომსახურების სფეროში, რაც დამატებით ყურადღებას მოითხოვს და შესაძლოა დასჭირდების პოლიტიკის სწრაფი რეაგირება.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

CURATIO INTERNATIONAL FOUNDATION

30 Years for Better Health Systems

Disclaimer

ანგარიში მოამზადა საერთაშორისო ფონდმა კურაციომ, USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით. დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საერთაშორისო ფონდი კურაციო და ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.